ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, რეგ.აჭარა, ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა 23
ტელ: 9950422259326 ვებ-გვერდი:http://sda.gov.ge/

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო

რიგითი სხდომა

07.04.2025

ოქმი N 73RSX00099

სხდომის დამსწრე პირები

სხდომის თავმჯდომარე: მირიან კვირიტიძე - მერია, მერის პირველი მოადგილე

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: ნონა ქოქოლაძე - ადმინისტრაციული სამსახური, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე

სხდომის მდივანი: მარიკა ბერიძე - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება, განყოფილების უფროსი

სხდომის წევრი: ლიანა ლორთქიფანიძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, უფროსი სპეციალისტი

სხდომის წევრი: ომარ დუმბაძე - ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება, განყოფილების უფროსი

განსახილველი საკითხები

ვაჟა ნაგერვაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

ჯემალ ფუტკარაძე

"სტატუსის მინიჭება -ჯემალ ფუტკარაძე"

დალი კახიძე

"სტატუსის მინიჭება -დალი კახიძე"

იგორ ბასილაძე

"სტატუსის მინიჭება - იგორ ბასილაძე"

ზურაბ ნაგერვაძე

"სტატუსის მინიჭება - ზურაბ ნაგერვაძე"

ნარგიზ მალაყმაძე

"სტატუსის მინიჭება - ნარგიზ მალაყმაძე"

გოგიტა ხინკილაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

ციცინო ქოქოლაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

სალომე მალაყმაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

ცირა დემურაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

ჯაბა დემურაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

თენგიზ მერკულაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

ნინიკო კოსოლიძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

დარინა ფარტენაძე

სტატუსის შეწყვეტა - მონიტორინგის საფუძველზე

<u>სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები</u>

აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე ეცნობოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს.

გადაწყვეტილება

მოქალაქეების იგორ ბასილაძის, დალი კახიძის, ჯემალ ფუტკარაძის, ნარგიზ მალაყმაძის და ზურაბ ნაგერვაძის განცხადებები მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების თაობაზე, რომლებიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონს ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილებით მოთხოვნილ კრიტერიუმებს და აღნიშნულის გათვალისწინებით საბჭოს მხრიდან დადებითი რეკომენდაცია გაეწია სტატუსის მინიჭებაზე.

კომისიის სხდომაზე ასევე განხილული იქნა მონიტორინგის სპეციალისტის შოთა ლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილი ვაჟა ნაგერვაძის, გოგიტა ხინკილაძის, ციცინო ქოქოლაძის, სალომე მალაყმაძის, ცირა დემურაძის, ჯაბა დემურაძის, თენგიზ მერკულაძის, ნინიკო კოსოლაძის და დარინა ფარტენაძის ვიზიტის ოქმები. აღნიშნული მონიტორინგი ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 19 მარტს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან შემოსული შეტყობინების/განცხადების SSA 8 25 00303624 საფუძველზე, რომლითაც მოწოდებულია ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც 2025 წლის მარტის მდგომარეობით, რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და ამავდროულად უფიქსირდებათ „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი“ განსხვავებულ მისამართზე. ვიზიტის ოქმების შესაბამისად მოქალაქეების გოგიტა ხინკილაძის, ცირა დემურაძის, ჯაბა დემურაძის, თენგიზ მერკულაძის და ვაჟა ნაგერვაძის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი არ არის, ხოლო მოქალაქეებზე ციცინო ქოქოლაძეზე, დარინა ფარტენაძეზე, სალომე მალაყმაძეზე და ნინიკო კოსოლიძეზე არსებობს სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

კომისიის სხდომაზე განიმარტა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ ფიზიკური პირისათვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენისა და ფაქტობრივი ცხოვრების მონიტორინგის ინსტრუქციის შესაბამისად მიზანშეწონილია მოქალაქეებზე სალომე მალაყმაძეზე, გოგიტა ხინკილაძეზე, ცირა დემურაძეზე, ჯაბა დემურაძეზე, თენგიზ მერკულაძეზე და ვაჟა ნაგერვაძეზე ჩატარდეს ზედიზედ მეორე და მესამე ვიზიტი ერთ თვიანი ინტერვალით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის მდივანს დაევალოს მიღებული გადაწყვეტილების მიწოდება მონიტორინგის სპეციალისტისათვის.

კომისიის სხდომაზე ასევე განიმარტა, რომ ციცინო ქოქოლაძის, დარინა ფარტენაძის და ნინიკო კოსოლიძის ვიზიტის ოქმებში სტატუსის შეწყვეტის საფუძველში მითითებულია "გათხოვილია". ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 19 მარტს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან შემოსული შეტყობინებაზე/განცხადებაზე SSA 8 25 00303624 თანდართულ ცხრილში მითითებულია, რომ მოქალაქეები ციცინო ქოქოლაძე, ნინიკო კოსოლიძე და დარინა ფარტენაძე მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან სხვა მაღალმთიან დასახლებაში. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე "მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" -საქართველოს მთავრობის N591 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 და მე-10 პუნქტების შესაბამისად სტატუსის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლები გადაეგზავნოს შესაბამის მუნიციპალიტეტს.

სხდომის თავმჯდომარე: /მ. კვირიტიძე/

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: /ნ. ქოქოლაძე/

სხდომის მდივანი: /მ. ბერიძე/

სხდომის წევრი: /ლ. ლორთქიფანიძე/

სხდომის წევრი: /ო. დუმბაძე/